აივ ინფექცია/შიდსის გავრცელება საქართველოში, ინფორმირების დონე და დამოკიდებულება ახალგაზრდებში

თეონა ბოლქვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: „ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ბატონი პაატა იმნაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თეონა ბოლქვაძე

ხელმოწერა

თ.ბოლქვაძე

თარიღი.

2014 წლის ივნისი

აბსტრაქტი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში ახალგაზრდების ინფორმირების ხარისხის და მათი დამოკიდებულების დადგენა ამ დაავადების მიმართ, ვფიქრობ ჩატარებული კვლევა საინტერესო და აქტუალური იქნება. კერძოდ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. კვლევის მომდევნო ნაწილში წარმოდგენილია ლიტერატურული მიმოხილვა, აივი/შიდსის აღმოცენებს, გადაცების გზებზე, ინფიცირებისგან თავდაცვაზე, სტიგმასა და დისრიმინაციაზე, ეპიდემიოლოგია და სტატისტიკა, კვლევის ძირითად ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შეზღუდვები და კვლების შედეგების ანალიზი, რის შედეგად გადავდივარ დასკვნაზე, აივ ინფექციის მატარებელი ადამიანები მოსახლეობის ყველაზე მოწყვეტილ ნაწილს წარმოადგენენ და ისინი ფართოდ გავრცელებული სტიგმისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი არიან.

მადლობა

სადისერატციო ნაშრომის შექმნაში თემის ხელმძღვანელ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის კათედრის სრული პროფესორი ბატონ პაატა იმნაძეს, ასევე დაზღვევისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დირექტორი სრული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი ბატონ თენგიზ ვერულავას და დოქტორანტ მაგდა ასათიანს გაწეული დახმარებისთვის.